

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია" საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" ს/კ (204861961) სახელმწიფო რეგისტრაცია განხორციელდა 1996 წელს, მარეგისტრირებელი ორგანო თბილისი ვაკის რაიონის სასამართლო.

რეგისტრირებული იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ისნის რაიონი, ქეთევან წამებულის გამზირი, #51/2.

ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი ისნის რაიონი, ქეთევან წამებულის გამზირი, #51/2.

დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2023 წელს შეადგენს 168 ადამიანს. (2022 - 169).

კომპანიის დამფუძნებელს წარმოადგენს: ირინე შოთაძე პ/ნ (465912257, 01017002643 /აშშ/)- 100% წილობრივი ფლობით.

კომპანიის მმართველობის ორგანო შედგება შემდეგი წევრებისგან:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: თავმჯდომარე/წევრი: პნ/ 01030004891 დავით ბახტაძე, თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: პ/ნ 01002019102 გიორგი მელიქიშვილი, წევრი : გიორგი ნუცუბიძე პ/ნ 01017012086.

კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას 1992 წლიდან წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა, ლიცენზიის გაცემის თარიღი 03,07,1992 წელი, ლიცენზიის # 01-17-08/877. კომპანიის თავდაპირველ სახელწოდებას წარმოადგენდა შპს „თბილისის სამედიცინო აკადემია“. 2001 წლიდან კომპანიის სახელწოდებაა შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია“. კომპანიის სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღია 31.12.1996 წელი. # 5/4-1092 .

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზდებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) საფუძველზე.

2 შედგენის საფუძველი (გაგრძელება)

2.2 საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

2.3 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიულ ღირებულებებზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიების აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მითითებულ შენიშვნებში.

2.4 საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია და წარმოდგენილია ქართულ ლარში.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშგებაში ხორციელდება ოპერაციების განხორციელების დღეს არსებული კურსის გამოყენებით.

~

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას უცხოურ ვალუტაში არსებული მუხლების გადაფასებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

ვალუტა	ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	12.31.2023	12.31.2022
დოლარი/ლარი	2.6894	2.7020
ევრო/ლარი	2.9753	2.8844
გირვანქა სტრლინგი/ლარი	3.4228	3.2581
ჩინური იუანი/ლარი	0.3782	0.3906

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები (გაგრძელება)

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ხარჯი, თუ ამის აუცილებლობა არსებობს.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

- ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის ფასს დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლების შემდეგ;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

ზარალი, რომელიც წარმოშობილია ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში, ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება აღიარდება ხარჯებში, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით და ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფისთვის განსაზღვრული პროცენტი წარმოდგენილია შემდეგნაირად.:

- შენობა ნაგებობები - 5 %
- ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი 20%

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს შეფასებით თანხას, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, (გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით), თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია, თუ კომპანია აპირებს მის გამოყენებას აქტივის მთელი ფიზიკური ვადის განმავლობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება და საჭიროების შემთხვევაში იცვლება ბალანსის მომზადების თარიღისთვის.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები (გაგრძელება)

3.3 არამატერიალური აქტივი

კომპანიას აქვს ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები.

3.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მომდევნო პერიოდებში იზომება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელთაც პროცენტი არ ერიცხება აღირიცხება ნომინალური ღირებულებით. ამოუღებელი თანხების სავარაუდო ოდენობის შესაბამისი ანარიცხები აღიარდება მოგება-ზარალში მაშინ, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული ანარიცხები იზომება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და საწყისი აღიარებისას მიღებული სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, როდესაც ეს უკანასკნელი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით არის დისკონტირებული.

3.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

3.6 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები (გაგრძელება)

3.7 ფინანსური იჯარა

იჯარის ვადის დასაწყისისათვის კომპანია აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებებს ფინანსურ იჯარაზე აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივებს და ვალდებულებებს საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) ემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულების გასაანგარიშებელი დისკონტირების განაკვეთს წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, თუ მისი დადგენა შესაძლებელია; თუ არა, გამოიყენება მოიჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან ნაწილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ძირითადი ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

- ფულადი სახსრები;
- სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები
- მოთხოვნამდე დეპოზიტები და ვადიანი დეპოზიტები;
- სესხებთან და ანგარიშებთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები;

თავდაპირველი შეფასება

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება კომპანია მას აფასებს გარიგების ფასით გარიგების დანახარჯების ჩათვლით, (ისეთი

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით) თუ შეთანხმება თავისი არსით არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის ან მისი კონტრაგენტისთვის.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით. რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

შემდგომი შეფასება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია სავალო ინსტრუმენტებს აფასებს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ისეთი სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები და მოკლევადიანი აქტივები ფასდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების (სხვა სახის კომპენსაციის) არადისკონტირებული ღირებულებით. გარდა იმ შეთანხმებებისა, რომლებიც ფინანსურ ოპერაციებს წარმოადგენს

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივის გაუფასურების, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით და ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში. მსგავსი მტკიცებულებებია , რომ დებიტორთან იწყება გაკოტრება, ხელშეკრულების პირობების დარღვევა, ან გადახდის პირობების შეცვლის მოთხოვნა, ასევე რეგიონის არახელაყრელი ეკონომიკური პირობები.

გაუფასურების ზარალის აღდგენა

თუ შემდგომ პერიოდებში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება, რაც დაკავშირებული იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, კომპანია აღადგენს გაუფასურების ზარალს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ფულადი

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები (გაგრძელება)

სახსრები სრულად მიღებულია ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს სხვა მხარეს.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

კომპანია მოგებაში ან ზარალში ასახავს დაფარული ან სხვა მხარისთვის გადაცემული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის სხვაობას.

3.9 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირებულია აკუმულირებული მოგებით. დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.10 ანარიცხები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანარიცხი აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს ვალდებულება იურიდიული ან კონსტრუქციული, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა. როცა ფულის დროითი ღირებულების ეფექტი მნიშვნელოვანია ანარიცხების თანხა უნდა წარმოადგენდეს იმ დანახარჯების დღევანდელ ღირებულებას, რომლებიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება მოვალეობის შესასრულებად, დისკონტირების განაკვეთი უნდა წარმოადგენდეს დაბეგვრამდე არსებულ განაკვეთს, რომელშიც გათვალისწინებულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებისა და მოცემული ვალდებულებებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკი.

3.11 მიღებული გრანტები

მიღებული გრანტი აღიარდება მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით. გრანტი, რომელიც არ შეიცავს მომავალში გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავალში აღიარდება მაშინ, როდესაც გრანტის შემოსულობები მიღებადი გახდება,

გრანტი, რომელიც ითვალისწინებს მომავალში გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავალში მხოლოდ მას შემდეგ აღიარდება, როდესაც გრანტის ყველა პირობა შესრულდება.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები (გაგრძელება)

თუ გრანტის მიღება ხდება მანამდე, სანამ ამონაგების აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილდება, ასეთი გრანტი აღიარდება როგორც ვალდებულება.

შესასრულებელი პირობა არის მოთხოვნა, რომელიც გრანტის გამცემს უფლებას აძლევს არ გადასცეს გრანტის რესურსი, ან თუ ეს რესურსი უკვე გადაცემულია უკან დაიბრუნოს, თუ კონკრეტული პირობები არ იქნება შესრულებული.

3.12 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრავს ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როდესაც ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა) ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, მოგებიდან გადასახადები არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

3.13 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები (გაგრძელება)

ვადაზე ადრე გადახდის ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

მომსახურების გაწევის ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საღაროში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს;

შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები (გაგრძელება)

3.14 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალ ლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

4 ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 5 083 603 ლარს (2022 წელი 5 278 871). ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით და შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ღირებულებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით.

კომპანიამ 2022 წელს განახორციელა მიწის ნაკვეთების შესყიდვა შემდეგი საკადასტრო კოდებით- 01.17.13.001.357 და 01.17.13.001.037, კომპანია ასევე ფლობს უძრავი ქონებას, რომლის საკადასტრო კოდია 01.17.01.132.002.

კომპანიის ბალანზე რიცხული უძრავი ქონებები, რომელთა საკადასტრო კოდებია 01.17.01.132.002 და 01.17.13.001.357 წარმოადგენს სესხის უზრუნველყოფის საგანს და მათზე რეგისტრირებულია იპოთეკა.

შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ღირებულება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	შენობა	მიწის ნაკვეთები	სულ ჯამი
2022 წლის 01 იანვარი	1,006,824	90,367	640,607	2,774,970	12,728	4,525,496
შემოსავალი	119,409		157,736	84,989	2,222,226	2,584,359
გასავალი						-
2022 წლის 31 დეკემბერი	1,126,233	90,367	798,343	2,859,959	2,234,954	7,109,855
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
2021 წლის 01 იანვარი	583,845	68,651	397,416	475,857	-	1,525,769
წლის ცვეთა	104,364	3,242	78,404	119,205		305,215
ცვეთის აღდგენა						
2022 წლის 31 დეკემბერი	688,209	71,893	475,820	595,062		1,830,984
საბალანსო ღირებულება 31.12.2022	438,024	18,473	322,523	2,264,897	2,234,954	5,278,871

ღირებულება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	შენობა	მიწის ნაკვეთები	სულ ჯამი
2023 წლის 01 იანვარი	1,126,233	90,367	798,343	2,859,959	2,234,954	7,109,855
შემოსავალი	60,834		23,327			84,161
გასავალი						-
2023 წლის 31 დეკემბერი	1,187,067	90,367	821,670	2,859,959	2,234,954	7,194,017
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
2023 წლის 01 იანვარი	688,209	71,893	475,820	595,062	-	1,830,984
წლის ცვეთა	95,882	2,594	67,709	113,245		279,429
ცვეთის აღდგენა						
2023 წლის 31 დეკემბერი	784,091	74,487	543,529	708,307		2,110,413
საბალანსო ღირებულება 31.12.2023	402,977	15,880	278,141	2,151,652	2,234,954	5,083,603

5 არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივების საბალანო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 4135 ლარს, არამატერიალური აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით და ცვეთა არ ერიცხება.

6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების თვითღირებულება გაანგარიშებულია საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთს წარმოადგენს წიგნების და სასწავლო ლიტერატურის მარაგები და საწვავი:

	31.12.2023	31.12.2022
საწვავი	1,732	1,557
სასაქონლო მარაგი	133,107	116,066
სულ	134,839	117,623

7 გაცემული სესხი

	31.12.2023	31.12.2022
გაცემული სესხი	-	167,600
სულ	-	167,600

8 დარიცხული მოთხოვნები

მოთხოვნა არის მოკლევადიანი და და ამოღების ვადა განსაზღვრება ერთ წლამდე, დარიცხულ სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. მოთხოვნები აღირიცხება ლარში.

	31.12.2023	31.12.2022
გადახდილი ავანსები	27,592	17,401
საფინანსო შემოსავალი	20,893	33,521
სავაჭრო და სხვა მოთხოვნა	499,258	414,578
სულ	547,743	465,500

შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

9 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ფულადი სახსრები ლარში	289,273	181,332
ფულადი სახსრები აშშ დოლარი	273,217	565,729
ფულადი სახსრები გირვანქა სტერლინგი	39,278	6,884
ფულადი სახსრები ევრო	870,549	48,943
ფულადი სახსრები ჩინური იუანი	386	
სულ	1,472,703	802,887

10 კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება

	31.12.2023	31.12.2022
კაპიტალი	1,300	1,300
რეზერვები და დაფინანსება	42,399	42,399
სულ	43,699	43,699

	31.12.2023	31.12.2022
გაუნაწილებელი მოგება	118,916	647,739
სულ	118,916	647,739

2023 და 2022 წელს დივიდენდი განაწილდა შემდეგი ოდენობით:

	31.12.2023	31.12.2022
გაცემული დივიდენდი	2,564,578	3,349,845
სულ	2,564,578	3,349,845

11 სასესხო ვალდებულება

	31.12.2023	31.12.2022
მიღებული გრძელვადიანი სესხები	2,444,057	1,858,876
სულ	2,444,057	1,858,876

	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	273,400	252,351
სულ	273,400	252,351

2023 წელს კომპანიამ აიღო სესხი 800 000 ლარის ოდენობით, 2022 წელს კი სრულად დაფარა სასწავლო კორპუსის მშენებლობის მიზნით აღებული სესხი და მიწის ნაკვეთების შეძენის მიზნით კვლავ აიღო სესხი, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 6.5 %, ხოლო 03.11.2023 და 23.09.2025 პერიოდებიდან პროცენტი ინდექსირებულია.

12 ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2023	31.12.2022
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	27,098	31,594
სულ	27,098	31,594

13 მიღებული ავანსები

მიღებულ ავანსებს შეადგენს სტუდენტების მიერ ავანსად გადახდილი სწავლის საფასური:

	31.12.2023	31.12.2022
მიღებული ავანსები	3,255,766	3,878,982
სულ	3,255,766	3,878,982

14 საგადასახადო ვალდებულება და მოგების გადასახადი

	31.12.2023	31.12.2022
საგადასახადო ვალდებულება	34,091	55,320
სულ	34,091	55,320

2023-2022 წლებში კომპანიის გაუნაწილებელი მოგება და დარიცხული მოგების გადასახადი შეადგენს:

	2023	2022
მოგება დაბეგვრამდე	2,488,328	2,505,766
მოგების გადასახადი	(452,573)	(591,150)
	2,035,755	1,914,616

15 გადასახდელი დივიდენდი

	31.12.2023	31.12.2022
გადასახდელი დივიდენდი	16,302	16,302
სულ	16,302	16,302

16 საგრანტო ვალდებულება

კომპანია ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ შემდეგ საგრანტო პროექტებს:

1. პროექტს, რომლის სახელწოდებაა "SETTING PEER REVIEW INSTRUMENTS AND GOALS FOR MEDICAL (HEALTH) EDUCATION (SPRING) კომპანია წარმოადგენს ბენეფიციარს. პროექტი მიზნად ისახავს სამედიცინო და ჯანდაცვის განათლებაში ურთიერთდასწრების მექანიზმის და მიზნების შემუშავებას საერთაშორისო საბჭოს (MPRB) ჩამოყალიბების გზით, ინოვაციების დანერგვას და გამოცდილების

16 საგრანტო ვალდებულება(გაგრძელება)

გაზიარების ხელშეწყობას. ყოველწლიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის გამოცემას "Peer Review in Medical/Health Education for Eastern and Central Asia-PRIMED_EECA".

- პროექტს, რომლის სახელწოდებაა „Simulation in Undergraduate MEDical Education for improvement of SAFely and Quality of Patient Care“. კომპანია წარმოადგენს კოორდინატორს და აქვს პროექტის მონაწილე რვა პარტნიორის კოორდინირების, მათ მიერ განხორციელებული აქტივობების მონიტორინგის ვალდებულება, მათ შორის საგრანტო ბიუჯეტის მიღების და გადაცემის ვალდებულება, პროექტის აკრონიმია SAFEMED+, განხორციელების პერიოდი 2020-2023 წწ და მისი მიზანია სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმჯობესება, კლინიკური უნარ-ჩვევების კურიკულუმის მოდერნიზაცია და იმპლემენტაცია,
- პროექტს, რომლის სახელწოდებაა- „Life Support Training and Dissemination“ „LIFESTRAND“, კომპანია ამ საგრანტო პროექტშიც წარმოადგენს კოორდინატორს და აქვს პროექტის მონაწილე ცხრა პარტნიორის კოორდინირების და მონიტორინგის ვალდებულება. პროექტის მიზანია საქართველოსა და უკრაინის მოსახლეობაში სასიცოცხლო უნარების მხარდაჭერის გაძლიერება და გავრცელება.

	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი საგრანტო ვალდებულება	65,389	-
სულ	65,389	-

	31.12.2023	31.12.2022
მოკლევადიანი საგრანტო ვალდებულება	963,084	50,510
სულ	963,084	50,510

17 შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან

კომპანიის საოპერაციო შემოსავალს წარმოადგენს სტუდენტებისთვის გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების საფასური და მასთან დაკავშირებული სერვისები, რომელთა შემოსავალში აღიარება ხორციელდება სასწავლო პერიოდის მიხედვით პროპორციულად:

	2023	2022
ინგლისურენოვანი მედიცინა	11,617,667	11,375,887
ქართულენოვანი მედიცინა	973,640	1,012,465
სხვა შემოსავალი	375,680	292,696
სულ	12,966,987	12,681,049

შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

18 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	6,812,557	6,546,574
საშუამავლო მომსახურება	770,201	819,391
სასწავლო პროცესის მომსახურება	517,908	375,580
საკონსულტაციო ხარჯი	452,680	312,894
ცვეთის ხარჯი	279,429	305,215
კომუნალური ხარჯი	168,321	150,651
საგრანტო ხარჯი	161,999	96,595
მივლინების ხარჯი	150,992	28,311
სტუდენტების დაფინანსების ხარჯი	130,114	148,427
წარმომადგენლობითი ხარჯი	116,838	130,892
საპენსიო ხარჯი	84,289	90,339
დაზღვევა	81,855	78,234
დაცვის ხარჯი	65,656	54,456
საწევრო	57,507	29,208
საგადასახადო ხარჯი	56,701	251,955
სტუდენტთა სარეგისტრაციო ხარჯი	52,915	28,044
ოფისის ხარჯები	51,524	15,833
კომუნიკაციის გადასახადი	31,317	16,406
მარკეტინგის/რეკლამის ხარჯები	26,427	93,857
სამეურნეო ხარჯი	24,156	14,915
საწვავის ხარჯი	21,632	28,727
საიჯარო ქირა	20,226	22,976
თანამშრომელთა ტრენინგები	13,068	42,705
საქველმოქმედო	11,980	5,455
ავტორიზაციის ხარჯი	8,547	1,780
ბანკის საკომისიო	7,479	12,580
ტექნიკური მომსახურება	6,000	7,262
საკანცელარიო ხარჯი	5,577	6,265
სატრანსპორტო ხარჯი	3,587	23,696
სხვადასხვა	157,937	154,100
	10,349,422	9,893,325

იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული სატრასპორტო საშუალება, საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებებით. იჯარის პირობები მოიცავს 1 წლიან პერიოდს და არის გაგრძელებადი.

შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

19 საფინანსო შემოსავალი

	31.12.2023	31.12.2022
საბანკო დეპოზიტი	25,259	45,119
საფინანსო შემოსავალი	20,893	33,521
სულ	46,152	78,640

20 საფინანსო ხარჯი

	2023	2022
საპროცენტო ხარჯი	175,899	16,098
საპროცენტო ხარჯი(მშენებლობა)	-	1,466
სულ	175,899	17,564

21 შემოსავალი არასაოპერაციო საქმიანობიდან

კომპანიას აქვს მიღებული საგრანტო დაფინანსება, გაცემული სსიპ -შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ "ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ" დადგენილების საფუძველზე.

	2023	2022
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	209,532	149,917
მიღებული გრანტი	134,725	244,508
სულ	344,257	394,425

22 არასაოპერაციო ხარჯები

	2023	2022
ზარალი საკურსო სხვაობიდან	300,659	737,458
უიმედო ვალი	13,088	-
სულ	313,747	737,458

23 მნიშვნელოვანი ბუღალტრული მსჯელობები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ასევე გაითვალისწინება მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული მოლოდინები, ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, არსებულ სიტუაციასთან შესაბამისობის მიზნით.

24 მნიშვნელოვანი ბუღალტრული მსჯელობები და დაშვებები (გაგრძელება)

მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ხელმძღვანელობა შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით, მიღებული სააღრიცხვო შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს რეალური შედეგისგან. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება რეგულარულად. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდსათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადა

მენეჯმენტი შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადა, და დარწმუნებულია რომ იგი არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, ფინანსური ანგარიშგება განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალი

ხელმძღვანელობა აფასებს მისაღები დებიტორული დავალიანებების დონეს ისტორიულ გამოცდილებასა და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. დავალიანების ამოღების რეალური ვადა შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისგან.

ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიის საქმიანობის შედეგები წარსული გამოცდილების და მიმდინარე მოვლენებისა და გარემოებების გათვალისწინებით კვლავ ზრდას განაგრძობს და აღნიშნული ფინანსური მდგრადობის ზრდა შენარჩუნდება კომპანიის ძირითადი საქმიანობის ხარისხის ზრდასა და განვითარებასთან ერთად.

მოქმედი საკანონმდებლო ბაზა იძლევა კანონის ორაზროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას, შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მოსაზრება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის მოსაზრებისგან, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიის მიერ განხორციელებული საგადასახადო დაბეგვრა სრულ შესაბამისობაშია საგადასახადო კანონმდებლობასთან და კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის საგადასახადო რისკი.

24 გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

მიმდინარე პერიოდში შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" სახელზე არ მიმდინარეობს არანაირი სასამართლო დავა.

25 დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2023-2022 წლებში შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიას“ განხორციელებული აქვს ქვემოთ მითითებული სამეურნეო ოპერაციები შემდეგ ურთიერთდამოკიდებულ პირებთან:

დამფუძნებლები

განხორციელებული ტრანზაქციები	2023	2022
დივიდენდის გაცემა	2,564,579	3,349,845
საფინანსო შემოსავალი	20,893	33,520

საბალანსო ნაშთები	31.12.2023	31.12.2022
დივიდენდის გაცემა	16,302	16,302
საფინანსო მოთხოვნა	-	167,600
საფინანსო შემოსავალი	358,327	336,834

უმაღლესი რანგის პერსონალი/დამფუძნებლები

განხორციელებული ტრანზაქციები	2023	2022
შრომის ანაზღაურება	1,072,821	1,005,700
მომსახურება	15,000	15,000

საბალანსო ნაშთები	2023	2022
შრომის ანაზღაურება	-	-
მომსახურება	-	-

26 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 2024 წლის 23 სექტემბრამდე აანაზღაურა 1 486 891, 47 ლარის ოდენობის დივიდენდი.

არ არსებობს სხვა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ასახვას განმარტებით შენიშვნებში.

შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

27 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 01 სექტემბერს

დირექტორი: ირინე შოთაძე

საფინანსო სამსახურის უფროსი: ეთერი აფციაური

თარიღი: 01 სექტემბერი 2024 წელი



შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხა წარმოდგენილია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5,083,603	5,278,871
არამატერიალური აქტივები	5	4,135	4,135
ბიოლოგიური აქტივი		1,350	1,350
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>5,089,088</u>	<u>5,284,356</u>
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	134,839	117,623
გაცემული სესხი	7	-	167,600
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	547,743	465,501
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	1,472,703	802,887
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>2,155,285</u>	<u>1,553,611</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>7,244,373</u>	<u>6,837,967</u>
გაუნაწილებელი მოგება	10	118,916	647,739
კაპიტალი	10	1,300	1,300
რეზერვები და დაფინანსება	10	42,399	42,399
<u>სულ კაპიტალი</u>		<u>162,615</u>	<u>691,438</u>
საგრანტო ვალდებულებები	16	65,389	-
სასესხო ვალდებულებები	11	2,444,057	1,858,876
<u>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</u>		<u>2,509,446</u>	<u>1,858,876</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	12	27,098	31,594
მიღებული ავანსები	13	3,255,766	3,878,982
გადასახდელი ხელფასები		2,572	2,594
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	11	273,400	252,351
საგადასახადო ვალდებულება	14	34,091	55,320
გადასახდელი დივიდენდები	15	16,302	16,302
საგრანტო ვალდებულება	16	963,082	50,510
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>		<u>4,572,311</u>	<u>4,287,653</u>
<u>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>7,244,372</u>	<u>6,837,967</u>

დირექტორი: ირინე შოთაძე
საფინანსო სამსახურის უფროსი: ეთერი აფციაური
თარიღი 01 სექტემბერი 2024



შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხა წარმოდგენილია ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება		2,023	2,022
შემოსავლები მომსახურებიდან	17	12,966,987	12,681,049
საერთო მოგება		12,966,987	12,681,049
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(10,349,422)	(9,893,325)
საოპერაციო მოგება		2,617,566	2,787,724
საფინანსო შემოსავალი	19	46,152	78,640
საფინანსო ხარჯი	20	(175,899)	(17,564)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	21	344,257	393,992
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	22	(343,747)	(737,026)
მოგება დაბეგვრამდე		2,488,328	2,505,766
მოგების გადასახადი	23	(452,573)	(591,150)
წმინდა მოგება		2,035,755	1,914,616

დირექტორი: ირინე შოთაძე
 საფინანსო სამსახურის უფროსი: ეთერი აფციაური
 თარიღი 01 სექტემბერი 2024



შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" ფინანსური ანგარიშგ
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხა წარმოდგენილია ლარში

2023

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

მომხმარებლებიდან მიღებული თანხები

მიღებული გრანტი

მიღებული პროცენტი

სხვა

12,180,848

1,769,388

25,259

მომწოდებელზე გადახდილი თანხები

შრომის ანაზღაურება

საპენსიო ანარიცხი

გადახდილი გადასახადები

საპროცენტო ხარჯი

საბანკო

გადახდილი დივიდენდი

გადაცემული გრანტი

(2,756,086)

(5,392,843)

(187,080)

(2,268,509)

(175,898.75)

(2,269,350)

(799,653)

126,075

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები

(84,162)

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

(84,162)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

მიღებული სესხი

სესხებზე გადახდილი ფულადი სახსრები

წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

800,000

(253,002)

546,998

საკურსო სხვაობის გავლენა ფულად ნაკადებზე

80,905

ფულის სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში

802,887

ფულის სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს

1,472,703

* 2023 წელს კომპანიამ განახორციელა არაფინანსური ოპერაცია 167000 ლარის ოდენობით, გაცემული სესხი აღიარდა გაცემულ დივიდენდად

დირექტორი: ირინე შოთაძე

საფინანსო სამსახურის უფროსი: ეთერი აფციაური

თარიღი 01 სექტემბერი 2024

შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხა წარმოდგენილია ლარში

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	კაპიტალი/რეზერვ ები	მოგება	გაცემული დივიდენდი	სულ
<u>ნაშთი საანგარიშო პერიოდის 31.12.2021</u>	<u>43,699</u>	<u>2,082,968</u>	-	<u>2,126,667</u>
კაპიტალის გაზრდა/შემცირება ფულადი სახრებით	-	-	-	-
კაპიტალის გაზრდა/შემცირება ქონებრივი შენატებით	-	1,914,616	(3,349,845)	(1,435,229)
მოცემული პერიოდის მოგება	<u>43,699</u>	<u>3,997,584</u>	<u>(3,349,845)</u>	<u>691,438</u>
<u>ნაშთი საანგარიშო პერიოდის 31.12.2022</u>				

(0)

დირექტორი: ირინე შოთაძე
 საფინანსო სამსახურის უფროსი: ეთერი აფციაური
 თარიღი 01 სექტემბერი 2024

